კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის

ბრძანება №39

2020 წლის 26 ოქტომბერი

ქ. თბილისი

კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 17^1 მუხლის მე-4 პუნქტის და 11^1 მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1
დამტკიცდეს თანდართული „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესი“.

მუხლი 2
ძალადაკარგულად გამოცხადდეს „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-4 ბრძანება.

მუხლი 3
ეს ბრძანება ამოქმედდეს 2020 წლის 4 ნოემბრიდან.

კონკურენციის სააგენტოს
თავმჯდომარე **ირაკლი ლექვინაძე**

კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები
1. კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესი (შემდგომში „წესი“) შემუშავებულია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი“) შესაბამისად.
2. ამ წესის მიზანია:

ა) საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოსათვის (შემდგომში – სააგენტო) წინასწარ სავალდებულო წერილობით შეტყობინებას (შემდგომში – შეტყობინება) დაქვემდებარებულ კონცენტრაციაში მონაწილე პირთა ერთობლივი შემოსავლების ზღვრული ოდენობებისა და შეტყობინების განხილვის პროცედურების განსაზღვრა;

ბ) კონცენტრაციების, ასევე შესაბამის სასაქონლო/მომსახურების ბაზრებზე კონცენტრაციის დონის ცვლილების შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა. პირთა ისეთი კონცენტრაციის დაუშვებლობა, რომელიც არსებითად ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას შესაბამის ბაზარზე;

გ) შეტყობინების წარდგენის ფორმის განსაზღვრა;

დ) კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის პროცესის ობიექტურობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.

3. ამ წესით დგინდება:

ა) კონცენტრაციაში მონაწილე პირთა წრის განსაზღვრის პრინციპები, მათი ერთობლივი შემოსავლების ზღვრული ოდენობები და ამ ერთობლივი შემოსავლების გამოთვლის წესი;

ბ) შეტყობინების ფორმა, მისი წარდგენის წესი და განხილვის პროცედურები;

გ) სააგენტოს მიერ კონცენტრაციის შეფასების კრიტერიუმები.
საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 25 დეკემბრის ბრძანება №63 - ვებგვერდი, 21.12.2023 წ.

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2026 წლის 15 ივნისის ბრძანება №8 - ვებგვერდი, 16.06.2026 წ.

მუხლი 1^1. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესის მიზნებისათვის აქ გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ჰორიზონტალური კონცენტრაცია – ერთსა და იმავე შესაბამის ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტთა (კონკურენტ ეკონომიკურ აგენტთა) კონცენტრაცია;

ბ) არაჰორიზონტალური კონცენტრაცია – სხვადასხვა შესაბამის ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტთა კონცენტრაცია, რომელიც შეიძლება იყოს ვერტიკალური ან კონგლომერატული;

გ) კონგლომერატული კონცენტრაცია – ისეთი ეკონომიკური აგენტების კონცენტრაცია, რომლებიც არც ვერტიკალურ და არც ჰორიზონტალურ დამოკიდებულებაში არ არიან ერთმანეთთან;

დ) ვერტიკალური კონცენტრაცია – ისეთი ეკონომიკური აგენტების კონცენტრაცია, რომლებიც მოქმედებენ მიწოდების ჯაჭვის სხვადასხვა დონეზე;

ე) საკონსულტაციო შეხვედრა – სააგენტოს მიერ კონცენტრაციის მხარესთან საჭიროების შემთხვევაში საქმის გარემოებათა დასადგენად გასამართი შეხვედრა.

2. ამ წესში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვთ კანონით განსაზღვრული მნიშვნელობა.

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 31 ივლისის ბრძანება №2 - ვებგვერდი, 01.08.2024წ.

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2026 წლის 15 ივნისის ბრძანება №8 - ვებგვერდი, 16.06.2026 წ.

მუხლი 1^2. კონცენტრაციაში მონაწილე პირთა/მხარეთა წრე

1. თუკი კონცენტრაცია ხორციელდება ეკონომიკურ აგენტთა შერწყმის გზით, ამგვარ კონცენტრაციაში მონაწილე პირად მიიჩნევა შერწყმის მონაწილე თითოეული სუბიექტი.

2. ეკონომიკურ აგენტზე კონტროლის მოპოვების გზით კონცენტრაციის განხორციელების შემთხვევაში:

ა) თუკი ხდება ეკონომიკურ აგენტზე ერთპიროვნული კონტროლის მოპოვება, კონცენტრაციაში მონაწილე პირებად მიიჩნევიან კონტროლის მომპოვებელი პირი და ის ეკონომიკური აგენტი, რომელზეც ხდება კონტროლის მოპოვება;

ბ) თუკი კონცენტრაციის შედეგად ერთპიროვნული კონტროლი იცვლება ერთობლივი კონტროლით იმგვარად, რომ ეკონომიკური აგენტის ერთპიროვნული მაკონტროლებელი სუბიექტი სრულად ტოვებს კომპანიას, კონცენტრაციაში მონაწილე პირად მიიჩნევიან ერთობლივი კონტროლის მომპოვებელი

პირები და ის ეკონომიკური აგენტი, რომელზეც ხდება კონტროლის მოპოვება;

გ) თუკი კონცენტრაციის შედეგად ერთპიროვნული კონტროლი იცვლება ერთობლივი კონტროლით იმგვარად, რომ ეკონომიკური აგენტის ერთპიროვნული მაკონტროლებელი სუბიექტი რჩება კომპანიაში, კონცენტრაციაში მონაწილე პირად მიიჩნევა ყველა ის პირი, რომელსაც კონცენტრაციის შედეგად ეკონომიკურ აგენტზე ექნება ერთობლივი კონტროლი (მათ შორის, არსებული და ახალი), ხოლო ის ეკონომიკური აგენტი, რომელზეც ხდება კონტროლის მოპოვება, არ მიიჩნევა კონცენტრაციაში მონაწილე პირად;

დ) თუკი კონცენტრაციის შედეგად ერთობლივი კონტროლის ხარისხი იცვლება, თუმცა კონტროლი კვლავ ერთობლივი რჩება, კონცენტრაციაში მონაწილე პირად მიიჩნევა ყველა ერთობლივი კონტროლის მომპოვებელი სუბიექტი (არსებული და ახალი) და, ასევე, ის ეკონომიკური აგენტი, რომელზეც ხდება კონტროლის მოპოვება;

ე) ახლად შექმნილ ეკონომიკურ აგენტზე ერთობლივი კონტროლის მოპოვების შემთხვევაში, თუკი ახლად შექმნილი სუბიექტი არ ასრულებს დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტის ყველა ფუნქციას, კონცენტრაციის მონაწილეა კონტროლის მომპოვებელი თითოეული სუბიექტი, ხოლო ის ახლად შექმნილი სუბიექტი, რომელზეც ხდება კონტროლის მოპოვება, არ მიიჩნევა კონცენტრაციაში მონაწილე პირად;

ვ) თუ კონცენტრაციის შედეგად სამიზნე ეკონომიკურ აგენტზე პირდაპირ კონტროლს იძენს კომპანია, რომელიც არ წარმოადგენს სრულად და დამოუკიდებლად ფუნქციონირებად ეკონომიკურ აგენტს, კონცენტრაციაში მონაწილე პირებად მიიჩნევიან ამგვარი სუბიექტის მაკონტროლებელი პირები და ის ეკონომიკური აგენტი, რომელზეც ხდება კონტროლის მოპოვება.

3. ერთობლივი საწარმოს დაფუძნების შემთხვევაში კონცენტრაციაში მონაწილე პირებად მიიჩნევიან ის სუბიექტები, რომლებიც აფუძნებენ ერთობლივ საწარმოს.

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2026 წლის 15 ივნისის ბრძანება №8 - ვებგვერდი, 16.06.2026 წ.

მუხლი 2. კონცენტრაციის მხარის/დაინტერესებული მხარის უფლებები და ვალდებულებები

1. კონცენტრაციის მხარეს უფლება აქვს:

ა) ჰყავდეს ადვოკატი ან/და წარმომადგენელი შეტყობინების განხილვის პროცესში;

ბ) სააგენტოს წარუდგინოს პოზიცია, ინფორმაცია ან/და მტკიცებულებები შეტყობინების განხილვის ნებისმიერ ეტაპზე;

გ) გაეცნოს საქმის მასალებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 99-ე მუხლით დადგენილი წესით;

დ) მოითხოვოს ინფორმაციის/მტკიცებულებების წარდგენის ვადის გაგრძელება;

ე) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მოითხოვოს მის მიერ სააგენტოში წარმოდგენილი ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად ცნობა;

ვ) სააგენტოს შესთავაზოს ოპერაციის ცვლილება (მოდიფიკაცია) სტრუქტურული ან/და ქცევითი ხასიათის ღონისძიების სახით;

ზ) შეტყობინების განხილვის ნებისმიერ ეტაპზე იყოს მოსმენილი სააგენტოს მხრიდან;

თ) გაეცნოს სააგენტოს დასაბუთებული უარყოფითი გადაწყვეტილების პროექტს და დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია.

2. საქმის პროცესის მონაწილე დაინტერესებული მხარე სარგებლობს მხარისათვის ამ მუხლის პირველი პუნქტით მინიჭებული ყველა უფლებით, გარდა „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებისა.

3. კონცენტრაციის მხარე ვალდებულია:

ა) სააგენტოს მიერ შეტყობინების დასაშვებად ცნობის შემთხვევაში გადაიხადოს კანონით გათვალისწინებული შეტყობინების განხილვის საფასური;

ბ) სააგენტოს სრულყოფილად მიაწოდოს გამოთხოვილი ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური), რომელიც საჭიროა სააგენტოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში;

გ) სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში გამოცხადდეს საკონსულტაციო შეხვედრაზე;

დ) სააგენტოსთვის უზრუნველყოს სწორი და უტყუარი ინფორმაციის მიწოდება კანონმდებლობით დადგენილი ვადების გათვალისწინებით.

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 5 დეკემბრის ბრძანება №53 - ვებგვერდი, 06.12.2023 წ.
საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 25 დეკემბრის ბრძანება №63 - ვებგვერდი, 21.12.2023 წ.

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2026 წლის 15 ივნისის ბრძანება №8 - ვებგვერდი, 16.06.2026 წ.

მუხლი 3. შეტყობინების ვალდებულებას დაქვემდებარებული კონცენტრაციები და შეტყობინების შედეგები

1. სააგენტოსათვის შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია, თუ მასში მონაწილე პირების ჯამური წლიური ერთობლივი შემოსავალი საქართველოს ტერიტორიაზე, შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების წარმოშობის წინა ფინანსური წლის მდგომარეობით, აღემატება 20 მილიონ ლარს და, ამასთან, კონცენტრაციის მონაწილე მინიმუმ ორი პირიდან თითოეულის ერთობლივი წლიური შემოსავალი შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების წარმოშობის წინა ფინანსური წლის მდგომარეობით აღემატება 5 მილიონ ლარს.

2. თუკი კონცენტრაციაში მონაწილე ან მასთან წინამდებარე წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ფორმით დაკავშირებული ეკონომიკური აგენტი რეგისტრირებულია სააგენტოში კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარმოდგენის წელს, მხედველობაში მიიღება ამავე კალენდარული წლის განმავლობაში შეტყობინების წარმოდგენის მომენტამდე არსებული მისი ერთობლივი შემოსავალი. თუკი კონცენტრაცია განხორციელდა სააგენტოს გვერდის ავლით და კონცენტრაციაში მონაწილე ან მასთან წინამდებარე წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ფორმით დაკავშირებული ეკონომიკური აგენტი რეგისტრირებულია კონცენტრაციის განხორციელების წელს, მხედველობაში მიიღება ამავე კალენდარული წლის განმავლობაში კონცენტრაციის განხორციელებამდე არსებული მისი ერთობლივი შემოსავალი.

3. წინასწარ სავალდებულო შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის განხორციელება დასაშვებია მხოლოდ მისი კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ამასთან, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაცია აგრეთვე დასაშვებია კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილებაში მითითებული შესაბამისი სტრუქტურული ან/და ქცევითი ხასიათის ღონისძიებების (მოდიფიკაციების) შესრულების პირობით.

4. სააგენტოს უარყოფითი გადაწყვეტილება წარმოადგენს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ კონცენტრაციის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს და ამავდროულად დაუშვებელია მისი (კონცენტრაციის) ნებისმიერი ფორმით/საშუალებით განხორციელება.

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 5 დეკემბრის ბრძანება №53 - ვებგვერდი, 06.12.2023 წ.
საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 25 დეკემბრის ბრძანება №63 - ვებგვერდი, 21.12.2023 წ.
საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 20 სექტემბრის ბრძანება №3 - ვებგვერდი, 23.09.2024 წ.
საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2026 წლის 15 ივნისის ბრძანება №8 - ვებგვერდი, 16.06.2026 წ.

მუხლი 4. ერთობლივი შემოსავლის გამოთვლა

1. (ამოღებულია - 15.06.2026, №8).

2. თუ კონცენტრაცია ეხება ერთი ან რამდენიმე საწარმოს ნაწილის ან ნაწილების შეძენას, მიუხედავად იმისა, ისინი დამოუკიდებელი ერთეულები არიან თუ არა, კონცენტრაციის მონაწილეთა ერთობლივი შემოსავლის გამოთვლისას გაითვალისწინება მხოლოდ ამ საწარმოთა კონცენტრაციას დაქვემდებარებული ნაწილის/ნაწილების შესაბამისი, ერთობლივი შემოსავალი ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების გათვალისწინებით.

3. კონცენტრაციის მონაწილეთა ერთობლივი შემოსავლის გამოთვლისას მხედველობაში მიიღება შემდეგი ერთეულების ერთობლივი შემოსავალი:

ა) კონცენტრაციაში მონაწილე პირები;

ბ) კონცენტრაციაში მონაწილე პირთა მიერ პირდაპირ ან/და არაპირდაპირ კონტროლირებადი ან პირდაპირ ან/და არაპირდაპირ მაკონტროლებელი ეკონომიკური აგენტები;

ბ[1]) კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკურ აგენტთა პირდაპირ ან/და არაპირდაპირ მაკონტროლებელი პირ(ებ)ის კონტროლს დაქვემდებარებული ეკონომიკური აგენტები;

გ) ეკონომიკური აგენტები, რომლებიც იმყოფებიან კონცენტრაციაში მონაწილე პირთა და მათი პირდაპირ ან/და არაპირდაპირ მაკონტროლებელი პირების კონტროლს დაქვემდებარებული ეკონომიკური აგენტების ერთობლივი კონტროლის ქვეშ.

4. (ამოღებულია - 15.06.2026, №8).

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 25 დეკემბრის ბრძანება №63 - ვებგვერდი, 21.12.2023 წ.

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 20 სექტემბრის ბრძანება №3 - ვებგვერდი, 23.09.2024 წ.

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2026 წლის 15 ივნისის ბრძანება №8 - ვებგვერდი, 16.06.2026 წ.

მუხლი 5. შეტყობინების წარმდგენი პირი

შეტყობინების წარდგენის ვალდებულება ეკისრება:

ა) შეძენით, ხელშეკრულებებით ან სხვა საშუალებებით კონტროლის მოპოვების შემთხვევაში – შემძენ ან/და კონტროლის უფლების მომპოვებელ პირ(ებ)ს.

ბ) შერწყმის/გაერთიანების შემთხვევაში – ოპერაციის ყველა მონაწილეს, ერთობლივი შეტყობინების წარდგენის გზით;

გ) ერთობლივი საწარმოს შექმნის შემთხვევაში – ოპერაციის ყველა მონაწილეს, ერთობლივი შეტყობინების წარდგენის გზით.

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 25 დეკემბრის ბრძანება №63 - ვებგვერდი, 21.12.2023 წ.

მუხლი 6. შეტყობინების ვადა

1. კონცენტრაციის მონაწილეებს შეტყობინების ვალდებულება წარმოეშობათ შესაბამისი შეთანხმების ძალაში შესვლამდე ან/და კონცენტრაციის ფაქტობრივ განხორციელებამდე (მათ შორის, მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციამდე). შესაბამისი შეთანხმების ძალაში შესვლამდე ან/და კონცენტრაციის ფაქტობრივ განხორციელებამდე კონცენტრაციის მონაწილეთა ქმედებები შესაძლოა მოიცავდეს, მათ შორის, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებაზე ნების გამოხატვას ან/და აღნიშნულის თაობაზე ფაქტობრივი შეთანხმების მიღწევას.

2. თუ კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კონტროლის მოპოვება ხდება ერთზე მეტი ეკონომიკურად ურთიერთდაკავშირებული ან/და ერთსა და იმავე პირებს შორის განხორციელებული რამდენიმე ტრანზაქციის საშუალებით, უწყვეტი 2 (ორი) კალენდარული წლის განმავლობაში კონტროლის მომპოვებელ პირს/ პირებს შეტყობინების ვალდებულება წარმოეშობათ ბოლო ტრანზაქციის განხორციელებამდე. ამასთან, ასეთ შემთხვევებში კონცენტრაციად განიხილება ამ ტრანზაქციების ერთობლიობა და იგი განხორციელებულად ითვლება ბოლო ტრანზაქციის შესრულებით.

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 5 დეკემბრის ბრძანება №53 - ვებგვერდი, 06.12.2023 წ.

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 25 დეკემბრის ბრძანება №63 - ვებგვერდი, 21.12.2023 წ.

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2026 წლის 15 ივნისის ბრძანება №8 - ვებგვერდი, 16.06.2026 წ.

მუხლი 7. შეტყობინების წარდგენის წესი და დასაშვებობის პროცედურა

1. პირმა სააგენტოს უნდა წარუდგინოს წერილობითი ან ელექტრონული ფორმით სრულყოფილად შევსებული დანართი №1-ის შესაბამისი შეტყობინება.
2. (ამოღებულია - 15.06.2026, №8).

2^1. იმ შემთხვევაში, თუ სხვადასხვა ობიექტური გარემოების გამო შეუძლებელია ამ მუხლით მოთხოვნილი ან შემდგომში გამოთხოვილი გარკვეული ინფორმაციის/ დოკუმენტაციის წარმოდგენა, მხარეს ეკისრება ვალდებულება დაასაბუთოს ამგვარი ინფორმაციის წარმოდგენის შეუძლებლობა, მიუთითოს მიზეზი და დაურთოს შესაბამისი მტკიცებულებები.

3. შეტყობინება სააგენტოში წარდგენილად ითვლება მისი სამუშაო საათებში მიღების შემთხვევაში. შეტყობინების არასამუშაო საათებში მიღების შემთხვევაში, მისი სააგენტოში წარდგენის თარიღად მიიჩნევა შემდეგი სამუშაო დღე. კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი ვადების ათვლა იწყება შეტყობინების წარდგენის მომდევნო სამუშაო დღიდან.

4. სააგენტო 3 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს შეტყობინების შესაბამისობას დანართი №1-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

5. თუ წარდგენილი შეტყობინება არ აკმაყოფილებს შესაბამის მოთხოვნებს, სააგენტო შეტყობინების წარმდგენს უბრუნებს განაცხადს და განუმარტავს სრულყოფილი შეტყობინების წარმოდგენისათვის საჭირო ინფორმაციის/დოკუმენტაციის ნუსხას.

6. (ამოღებულია - 05.12.2023, №53).

7. (ამოღებულია - 05.12.2023, №53).

8. (ამოღებულია - 05.12.2023, №53).

8^1. (ამოღებულია - 15.06.2026, №8).

9. სრულყოფილი შეტყობინების შემოსვლიდან 10 სამუშაო დღის ვადაში სააგენტო ამოწმებს, დაგეგმილი კონცენტრაცია ექცევა თუ არა კანონის რეგულირების სფეროში და მისი კომპეტენციის ფარგლებში, რის თაობაზეც აცნობებს შეტყობინების წარმომდგენ პირ(ებ)ს.

10. თუ დაგეგმილი კონცენტრაცია ექცევა კანონის რეგულირების სფეროში და სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებში, სააგენტო კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების განხილვას იწყებს შეტყობინების განხილვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის მომდევნო სამუშაო დღიდან.

11. სააგენტოს მიერ შეტყობინების განხილვის საფასური შეადგენს 5000 ლარს, იმის მიუხედავად, თუ რამდენი მხარე ჰყავს კონცენტრაციას და შეტყობინებას წარმოადგენს ერთი პირი თუ რამდენიმე.

12. შეტყობინების განხილვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, შეტყობინება განხილვას არ ექვემდებარება.

13. თუ სააგენტოს წარედგინა შეტყობინება ეკონომიკის რეგულირებადი სფეროში კონცენტრაციის თაობაზე, იგი ამ შეტყობინებას 5 სამუშაო დღის ვადაში გადაუგზავნის ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს შესაბამის მარეგულირებელ ორგანოს, როგორც უფლებამოსილ ორგანოს, გარდა კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

14. თუ ცალსახად არ დგინდება შეტყობინების განხილვაზე უფლებამოსილი ორგანო, ამ მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრული ვადა იზრდება 30 კალენდარულ დღემდე, რათა შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს განსაზღვრის მიზნით სააგენტოსა და ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელ ორგანოს შორის კონსულტაციები გაიმართოს.

15. ამ მუხლის მე-14 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, შეტყობინების განხილვის ვადის ათვლა იწყება შეტყობინების განხილვაზე უფლებამოსილ ორგანოდ სააგენტოს განსაზღვრის შემდგომ.

16. თუ შეტყობინების განხილვის საფასური გადახდის შემდგომ დადგინდა, რომ შეტყობინება არ ექვემდებარება სააგენტოს მიერ შესწავლას, გადახდილი საფასური უბრუნდება შესაბამის პირს.

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 5 დეკემბრის ბრძანება №53 - ვებგვერდი, 06.12.2023 წ.

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 25 დეკემბრის ბრძანება №63 - ვებგვერდი, 21.12.2023 წ.

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2026 წლის 15 ივნისის ბრძანება №8 - ვებგვერდი, 16.06.2026 წ.

მუხლი 8. შეტყობინების განხილვის პროცედურა

1. სააგენტო ვალდებულია შეტყობინების განხილვის დაწყებიდან არაუმეტეს 25 სამუშაო დღის ვადაში განიხილოს შეტყობინება და შეამოწმოს დაგეგმილი კონცენტრაციის შესაბამისობა კანონმდებლობის მოთხოვნებთან.
2. სააგენტო უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში მოსთხოვოს დაგეგმილ კონცენტრაციაში მონაწილე პირს დამატებითი ინფორმაციის ან/და მტკიცებულების წარმოდგენა ან გამართოს მასთან საკონსულტაციო შეხვედრა.

2[1]. კონცენტრაციაში მონაწილე მხარესთან/მხარეებთან გასამართი საკონსულტაციო შეხვედრის დასრულების შემდეგ, დგება სხდომის ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ სხდომაში მონაწილე პირები. მხარის/ მხარეთა თანხმობის შემთხვევაში, საკონსულტაციო შეხვედრა შეიძლება ჩაიწეროს ტექნიკური საშუალების გამოყენებით. ამ შემთხვევაში, სხდომის ჩანაწერი ერთვის საკონსულტაციო შეხვედრის სხდომის ოქმს, რომელსაც სააგენტო 3 სამუშაო დღის ვადაში უგზავნის სხდომის მონაწილე პირს/პირებს. საკონსულტაციო შეხვედრა შესაძლებელია აგრეთვე წარიმართოს ვიდეოკონფერენციის საშუალებით, რომლის დასრულების შემდეგ დგება სხდომის ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ სხდომაში მონაწილე სააგენტოს წარმომადგენლები და სხდომის ჩანაწერი, ოქმთან ერთად სხდომის მონაწილე პირს/პირებს ეგზავნება/ ეგზავნებათ ამ პუნქტით დადგენილ ვადაში.

3. კონცენტრაციის მხარის მიერ დამატებითი ინფორმაციის ან/და მტკიცებულებების წარმოდგენამდე, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის დინება შეჩერებულად ითვლება სააგენტოს მიერ დამატებითი ინფორმაციის გამოთხოვის დღიდან, ხოლო მოთხოვნილი ინფორმაციის ან/და მტკიცებულების წარმოდგენა ხსენებული ვადის დინების განახლების საფუძველია, კონცენტრაციის მხარის მიერ სააგენტოსათვის ასეთი ინფორმაციის ან/და მტკიცებულების მოწოდების მომდევნო სამუშაო დღიდან.

4. სააგენტო ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებს ინფორმაციას მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების თაობაზე და დაინტერესებულ პირებს აძლევს შესაძლებლობას დაგეგმილი კონცენტრაციის თაობაზე წარმოადგინონ მოსაზრებები სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. გამოქვეყნებული ინფორმაცია კონცენტრაციაში მონაწილე პირთა კონფიდენციალური მონაცემების დაცვით უნდა შეიცავდეს მონაცემებს მხარეთა ვინაობის/დასახელების, კონცენტრაციის საგნისა და იმ ეკონომიკური დარგების/ბაზრების თაობაზე, რასაც ეხება დაგეგმილი კონცენტრაცია. სააგენტოს მიერ განსაზღვრული ვადის ამოწურვის შემდეგ დაინტერესებულ პირების მიერ წარდგენილი ინფორმაცია/დოკუმენტაცია სააგენტომ შეიძლება არ გაითვალისწინოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

5. სააგენტო უფლებამოსილია, შეტყობინების განხილვის პროცესში გაეცნოს დაინტერესებული პირების, კონცენტრაციის მხარეების კონკურენტი ეკონომიკური აგენტებისა და დარგის ექსპერტების პოზიციებს დაგეგმილ კონცენტრაციასთან დაკავშირებით.

6. მიღებული ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზის შემდგომ, ამ მუხლის პირველი პუნქტით

განსაზღვრულ ვადაში, სააგენტო იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ;

ბ) შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ, როდესაც არსებობს გონივრული ეჭვი, რომ დაგეგმილი კონცენტრაცია, შესაძლოა, არ იყოს თავსებადი კონკურენტულ გარემოსთან ან საქმის სირთულიდან გამომდინარე, საჭიროა საკითხის დამატებითი შესწავლა.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, სააგენტო ვალდებულია განიხილოს შეტყობინება ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუმეტეს 90 კალენდარული დღის ვადაში.

8. ამ მუხლის პირველი ან/და მე-7 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში პასუხის გაუცემლობა დადებით პასუხად ჩაითვლება.

9. თუ სააგენტო მიიჩნევს, რომ დაგეგმილი კონცენტრაცია არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე, მიიღებს გადაწყვეტილებას დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ.

10. თუ სააგენტო მიიჩნევს, რომ დაგეგმილი კონცენტრაცია არსებითად ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის საქონლის ან/და მომსახურების ბაზარზე, მიიღებს გადაწყვეტილებას კონცენტრაციის დაუშვებლობის შესახებ.

11. თუ კონცენტრაცია იწვევს დომინანტური მდგომარეობის წარმოქმნას ან გაძლიერებას, ივარაუდება, რომ ასეთი კონცენტრაცია არსებითად ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის საქონლის ან მომსახურების ბაზარზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კონცენტრაციის მხარე დაასაბუთებს საწინააღმდეგოს.

12. თუ ამ მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კონცენტრაციის მხარე სააგენტოს დაუსაბუთებს, რომ დომინანტური მდგომარეობის წარმოქმნის ან გაძლიერების მიუხედავად, დაგეგმილი კონცენტრაცია არსებითად არ შეზღუდავს ეფექტიან კონკურენციას და მოჰყვება მნიშვნელოვანი დადებითი ეფექტები, სააგენტო უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ.

13. ამ მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კონცენტრაციის დაუშვებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე სააგენტო გადაწყვეტილების პროექტს, კანონმდებლობით გათვალისწინებული კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვით უგზავნის შეტყობინების წარმომდგენ პირს და განუსაზღვრავს ვადას მოსაზრებების წერილობითი ან ზეპირი ფორმით წარმოსადგენად. ამ მუხლის 13^1 პუნქტით გათვალისწინებული წესით ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენისათვის სააგენტოს მიერ დადგენილი ვადის განმავლობაში ამ მუხლის პირველი და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული ვადის დინება შეჩერებულად ითვლება.

13^1. ამ მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრული მოსაზრებების წარმოდგენის ვადა არ შეიძლება იყოს 5 სამუშაო დღეზე ნაკლები. სააგენტო უფლებამოსილია მხოლოდ ერთხელ, მაგრამ არაუმეტეს 15 სამუშაო დღით, დასაბუთებული განცხადების საფუძველზე გააგრძელოს დოკუმენტის/ინფორმაციის წარდგენის ვადა.

14. ამ მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, შეტყობინების წარმომდგენი პირის მიერ პოზიციის ზეპირად დაფიქსირების შემთხვევაში, დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს სააგენტოს უფლებამოსილი თანამშრომელი და სააგენტოში შეტყობინების წარმომდგენი პირი. იმ შემთხვევაში, თუ შეტყობინების წარმომდგენი პირი უარს აცხადებს ოქმის ხელმოწერაზე, სააგენტოს უფლებამოსილი თანამშრომელი აკეთებს ოქმზე შესაბამის ჩანაწერს.

15. სააგენტო მარეგისტრირებელ ორგანოს უგზავნის იმ ბრძანების ასლს, რომლის შესაბამისადაც მტკიცდება სააგენტოს გადაწყვეტილება კონცენტრაციის დაუშვებლობის თაობაზე, მისი მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 5 დეკემბრის ბრძანება №53 - ვებგვერდი, 06.12.2023 წ.
საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 25 დეკემბრის ბრძანება №63 - ვებგვერდი, 21.12.2023 წ.
საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2026 წლის 15 ივნისის ბრძანება №8 - ვებგვერდი, 16.06.2026 წ.

მუხლი 8^1. კონცენტრაციის თავსებადობის შეფასება კონკურენტულ გარემოსთან

1. (ამოღებულია - 15.06.2026, №8).

2. (ამოღებულია - 15.06.2026, №8).

3. (ამოღებულია - 15.06.2026, №8).

4. იმის დასადგენად, კონცენტრაცია ზღუდავს თუ არა ეფექტიან კონკურენციას, სააგენტო აფასებს ბაზრის შედეგიანობას, როგორც საბაზრო სტრუქტურისა და ეკონომიკურ აგენტთა საბაზრო ქცევის შედეგს, შემდეგი სახის ინდიკატორების საფუძველზე:

ა) ბაზრის სტრუქტურა;

ბ) ფასების სიმცირე;

გ) მოგების სიდიდე;

დ) მიღებული პროდუქციის ხარისხი;

ე) წარმოებისა და გაყიდვის ხარჯების შემცირება;

ვ) ტექნიკური პროგრესი;

ზ) სხვა ინდიკატორები, რომელთა გამოყენებას საჭიროდ ჩათვლის სააგენტო.“.

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 31 ივლისის ბრძანება №2 - ვებგვერდი, 01.08.2024წ.

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2026 წლის 15 ივნისის ბრძანება №8 - ვებგვერდი, 16.06.2026 წ.

მუხლი 8^2. ჰორიზონტალური კონცენტრაციის შეფასების კრიტერიუმები

1. თუ კონცენტრაციის შედეგად საქართველოს ან მის ნაწილში ეკონომიკურ აგენტთა ერთობლივი საბაზრო წილი არ აღემატება 25%-ს, ასეთი კონცენტრაცია არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას.

2. თუ ერთსა და იმავე ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტთა კონცენტრაციის შედეგად ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი არ აღემატება 1250-ს, ასეთი კონცენტრაცია არ იწვევს ეფექტიანი კონკურენციის არსებით შეზღუდვას.

3. თუ ერთსა და იმავე ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტთა კონცენტრაციის შედეგად ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი 1250-დან 2250-მდეა და მისი ცვლილება არ აღემატება 250-ს ან ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი მეტია 2250-ზე და მისი ცვლილება ნაკლებია 150-ზე, მაშინ ასეთი კონცენტრაცია არ იწვევს ეფექტიანი კონკურენციის არსებით შეზღუდვას, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ:

ა) კონცენტრაციაში მონაწილეობს პოტენციური კონკურენტი ან ბაზრის მცირე წილის მქონე ეკონომიკური აგენტი, რომელიც კონცენტრაციამდე ცოტა ხნით ადრე შემოვიდა ბაზარზე;

ბ) კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკურ აგენტთა ინოვაციური პოტენციალი კონცენტრაციის მომენტისათვის მოცემული ბაზრის სტრუქტურაში ასახული არ არის;

გ) სახეზეა ბაზრის მონაწილე სუბიექტებს შორის ჯვარედინი თანამონაწილეობა, რაც გულისხმობს ერთმანეთის წილების ფლობას და ხელმძღვანელი პირების მიმოცვლას;

დ) კონცენტრაციაში მონაწილე ერთ-ერთი ეკონომიკური აგენტის საბაზრო წილი მინიმუმ 50%-ია;

ე) სახეზეა ბაზრის მონაწილეთა შორის წარსულში არსებული არაერთჯერადი ხასიათის შეთანხმებული მოქმედებების ან სხვა ურთიერთხელშეწყობის ნიშნები;

ვ) კონცენტრაციაში მონაწილეობს ეკონომიკური აგენტი, რომელსაც აქვს რეალური შესაძლებლობა, არსებითად შეცვალოს ბაზრის არსებული სტრუქტურა;

ზ) სხვა ისეთი მოცემულობა ბაზარზე, რომლის არსებობა, მიუხედავად საბაზრო სტრუქტურისა და ეკონომიკურ აგენტთა წილების მაჩვენებლებისა, მიუთითებს იმაზე, რომ კონცენტრაცია შეიძლება იწვევდეს ეფექტიანი კონკურენციის არსებით შეზღუდვას.“.

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 31 ივლისის ბრძანება №2 - ვებგვერდი, 01.08.2024წ.

მუხლი 8[3]. არაჰორიზონტალური კონცენტრაციის შეფასების კრიტერიუმები

თუ არაჰორიზონტალური კონცენტრაციის შედეგად შექმნილი ეკონომიკური აგენტი კონცენტრაციისთვის გაცხადებულ თითოეულ შესაბამის ბაზარზე, კონცენტრაციის შედეგად არ მოიპოვებს 30%-ზე მეტ საბაზრო წილს ან/და თითოეულ ასეთ ბაზარზე ჰერფინდალ – ჰირშმანის ინდექსი ნაკლებია 2250-ზე, ასეთი კონცენტრაცია არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ:

ა) საბაზრო ძალის ან ინოვაციური პოტენციალის გამო მოსალოდნელია კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკურ აგენტთა წილის მნიშვნელოვანი ზრდა;

ბ) ბაზრის მონაწილეთა შორის არსებობს მნიშვნელოვანი ჯვარედინი თანამონაწილეობა, რაც გულისხმობს ბაზრის მონაწილე ეკონომიკური აგენტების მიერ ერთმანეთის წილების ფლობას, ასევე ხელმძღვანელი პირების მიმოცვლას;

გ) სახეზეა ბაზრის მონაწილეთა შორის წარსულში არსებული არაერთჯერადი ხასიათის შეთანხმებული მოქმედებების ან სხვა ურთიერთხელშეწყობის ნიშნები;

დ) კონცენტრაციაში მონაწილეობს ეკონომიკური აგენტი, რომელსაც აქვს რეალური შესაძლებლობა, არსებითად შეცვალოს ბაზრის არსებული სტრუქტურა;

ე) სხვა ისეთი მოცემულობა ბაზარზე, რომლის არსებობა, მიუხედავად საბაზრო სტრუქტურისა და ეკონომიკურ აგენტთა წილების მაჩვენებლებისა, მიუთითებს იმაზე, რომ კონცენტრაცია შეიძლება იწვევდეს ეფექტიანი კონკურენციის არსებით შეზღუდვას.

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 31 ივლისის ბრძანება №2 - ვებგვერდი, 01.08.2024წ.

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2026 წლის 15 ივნისის ბრძანება №8 - ვებგვერდი, 16.06.2026 წ.

მუხლი 9. თანამშრომლობის ფორმები

1. კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სააგენტო ვალდებულია, მიმართოს ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელ ორგანოს საკითხის განხილვაში მონაწილეობის მიღების ან/და საკუთარი პოზიციის წარმოდგენის მოთხოვნით.

2. ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელი ორგანო საკითხის განხილვაში მონაწილეობის მიღების მიზნით უფლებამოსილია:

ა) გამოითხოვოს და გაეცნოს საქმის მასალებს;

ბ) შესაბამისი პოზიცია დააფიქსიროს სააგენტოს მიერ მისაღებ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით;

გ) გაეცნოს და შესაბამისი პოზიცია დააფიქსიროს კონცენტრაციის მხარეების მიერ განსახორციელებელი სტრუქტურული ან/და ქცევითი ხასიათის ღონისძიების თაობაზე;

3. სააგენტოს მიერ მისაღებ გადაწყვეტილებასთან ან კონცენტრაციის მხარეების მიერ განსახორციელებელ სტრუქტურულ ან/და ქცევითი ხასიათის ღონისძიებებთან დაკავშირებით შესაბამისი პოზიციის დაფიქსირებამდე, ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელ ორგანოს, გონივრული ვადის გათვალისწინებით უნდა მიეწოდოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

4. გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო შებოჭილი არ არის ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელი ორგანოს პოზიციით, თუმცა გადაწყვეტილებაში მითითებული უნდა იქნეს შესაბამისი დასაბუთება.

მუხლი 10. სააგენტოს მიერ ინფორმაციის გამოთხოვის უფლება

1. სააგენტო უფლებამოსილია ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტაცია (მათ შორის, კონფიდენციალური) გამოითხოვოს როგორც კონცენტრაციის მხარისგან, დაინტერესებული მხარისგან, აგრეთვე ნებისმიერი ეკონომიკური აგენტისგან, თუ ეს საჭიროა სააგენტოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში და ხელს შეუწყობს საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენას.
2. დოკუმენტის/ინფორმაციის მიწოდების შესახებ სააგენტოს მიმართვაში მითითებული უნდა იყოს ინფორმაციის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, საგანი, მიზანი და ვადა, რომლის განმავლობაშიც უნდა იქნეს ინფორმაცია მიწოდებული, აგრეთვე, მითითება ინფორმაციის მიუწოდებლობის შესაძლო შედეგებზე.

3. ამ მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრული ვადა არ შეიძლება იყოს 5 სამუშაო დღეზე ნაკლები. სააგენტო უფლებამოსილია მხოლოდ ერთხელ, მაგრამ არაუმეტეს 15 სამუშაო დღით, დასაბუთებული განცხადების საფუძველზე, გააგრძელოს დოკუმენტის/ინფორმაციის წარდგენის ვადა.

4. (ამოღებულია - 20.12.2023, №63).

5. (ამოღებულია - 20.12.2023, №63).

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 5 სექტემბრის ბრძანება №42 - ვებგვერდი, 06.09.2022 წ.
საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 5 დეკემბრის ბრძანება №53 - ვებგვერდი, 06.12.2023 წ.

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 25 დეკემბრის ბრძანება №63 - ვებგვერდი, 21.12.2023 წ.

მუხლი 10^1. კორესპონდენციის ჩაბარების წესი და პროცედურა

1. სააგენტო დოკუმენტს პირს უგზავნის ან/და წარუდგენს წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.
2. დოკუმენტის პირისთვის გაგზავნის ან/და წარდგენის ფორმას ირჩევს სააგენტო.

3. პირისთვის ერთი დოკუმენტის რამდენჯერმე ან რამდენიმე ფორმით წარდგენის შემთხვევაში ამ დოკუმენტის ჩაბარების თარიღად ითვლება მისი პირველად ჩაბარების თარიღი.

4. პირისთვის დოკუმენტის წერილობითი ფორმით წარდგენისას ამ პირის მიერ მის ჩაბარებაზე უარის განცხადების შემთხვევაში დოკუმენტის წარმდგენი პირი აკეთებს შესაბამის აღნიშვნას.

5. პირს დოკუმენტი შეიძლება გაეგზავნოს ფოსტით ან/და ელექტრონული ფოსტით.

6. პირისთვის ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დოკუმენტი ჩაბარებულად ჩაითვლება ადრესატის მიერ მისი მიღების დადასტურების შემთხვევაში.

7. სააგენტოს წერილობითი დოკუმენტი უნდა ჩაჰბარდეს ადრესატს, მის წარმომადგენელს, მისი ოჯახის წევრს ან მისი სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას. ამ პუნქტის მიზნებისთვის ადრესატის ოჯახის წევრებად ითვლებიან მასთან მუდმივად მცხოვრები ახლო ნათესავები, მათ შორის: მეუღლე, დედა, მამა, და, ძმა, ბებია, ბაბუა, სრულწლოვანი შვილი, სრულწლოვანი შვილიშვილი, ნებისმიერი სხვა სრულწლოვანი პირი (მიუხედავად ადრესატთან ნათესაური კავშირისა), რომელიც მასთან ერთად საერთო საოჯახო საქმიანობას ეწევა.

8. თუ ამ მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი წესით სააგენტოს წერილობითი დოკუმენტის გაგზავნიდან 5 სამუშაო დღეში სააგენტო ვერ აბარებს მას ადრესატს, ადრესატი უარს აცხადებს დოკუმენტის ჩაბარებაზე ან არ ადასტურებს ელექტრონული ფოსტით მის მიღებას, სააგენტო უფლებამოსილია საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – შემოსავლების სამსახურს გაუგზავნოს დოკუმენტის გადასახადის გადამხდელის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე ატვირთვის შესახებ თხოვნა, რის შემდეგაც საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური უზრუნველყოფს გადასახადის გადამხდელის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის მეშვეობით დოკუმენტის ადრესატისთვის გაგზავნას. ამ შემთხვევაში დოკუმენტი ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი გახსნის მომენტიდან.

9. თუ მხარეს სააგენტოს გადაწყვეტილება ან/და ბრძანება ვერ ჩაჰბარდა ამ მუხლის მე-5–მე-8 პუნქტებით დადგენილი წესით, ეს გადაწყვეტილება ან/და ბრძანება მხარისთვის ჩაბარებულად ითვლება მისი სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან მე-60 დღეს.

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 25 დეკემბრის ბრძანება №63 - ვებგვერდი, 21.12.2023 წ.

მუხლი 11. ინფორმაციის მიწოდება

1. ინფორმაცია ითვლება მიწოდებულად, თუ იგი სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში სრულყოფილად იქნა წარდგენილი სააგენტოს იურიდიულ მისამართზე ან/და ოფიციალური ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.
2. თუ ამ ინფორმაციის სააგენტოს მიერ მიღება დაკავშირებულია კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადის ათვლასთან ან/და განახლებასთან, შესაბამისი ვადა აითვლება/განახლდება ინფორმაციის რეგისტრაციის დღის მომდევნო სამუშაო დღიდან.

3. პირი უფლებამოსილია, სააგენტოს მოსთხოვოს მის მიერ წარდგენილი კონკრეტული ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად ცნობა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად და წარუდგინოს შესაბამისი დასაბუთება.

4. სააგენტო ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად წარდგენილ მოთხოვნას განიხილავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27^2 მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 12. ინფორმაციის მიუწოდებლობა

1. სააგენტოსათვის ინფორმაციის მიუწოდებლობად ითვლება:
ა) ინფორმაციის დადგენილ ვადაში მიუწოდებლობა;

ბ) არასწორი ინფორმაციის მიწოდება;

გ) მოთხოვნილი ინფორმაციის არასრულად მიწოდება.

2. ინფორმაციის მიუწოდებლობად არ ითვლება სააგენტოს მიიერ განსაზღვრულ ვადაში დასაბუთებული პასუხი მოთხოვნილი ინფორმაციის არქონის შესახებ.

მუხლი 13. ინფორმაციის მიუწოდებლობის შედეგები

1. სააგენტოს მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის დადგენილ ვადაში მიუწოდებლობა, არასწორი ან არასრული ინფორმაციის მიწოდება გამოიწვევს იურიდიული პირის დაჯარიმებას სამი ათასი ლარის ოდენობით. ხოლო ფიზიკური პირის დაჯარიმებას – ათასი ლარის ოდენობით.
2. ჯარიმის დაკისრების მიუხედავად, სააგენტოს მიერ ხელახლა განსაზღვრულ ვადაში ინფორმაციის მიუწოდებლობის შემთხვევაში, იურიდიულ პირს დაეკისრება ჯარიმა ხუთი ათასი ლარის ოდენობით. ხოლო, ფიზიკურ პირს – სამი ათასი ლარის ოდენობით.

3. ჯარიმის დაკისრება პირს არ ათავისუფლებს სააგენტოსათვის ინფორმაციის წარდგენის ვალდებულებისაგან.

4. ინფორმაციის მიუწოდებლობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებასთან ერთად, სააგენტოს უფლება აქვს, კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21^{73} მუხლით დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ეკონომიკური აგენტისგან/მხარისგან/დაინტერესებული მხარისგან ინფორმაციის/დოკუმენტაციის გამოთხოვის შესახებ.

მუხლი 14. სტრუქტურული და ქცევითი ხასიათის ღონისძიებები

1. თუ კანონის 11^1 მუხლის მე-6 და მე-9 პუნქტებით განსაზღვრულ რომელიმე ეტაპზე, სააგენტოს გაუჩნდა გონივრული ეჭვი, რომ დაგეგმილი კონცენტრაცია, შესაძლოა, არ იყოს თავსებადი კონკურენტულ გარემოსთან და შედეგად, მოსალოდნელია ეფექტიანი კონკურენციის არსებითი შეზღუდვა, ამის შესახებ წერილობით აცნობებს კონცენტრაციის მხარეებს.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, კონცენტრაციის მხარეებს ეცნობებათ ყველა ის გარემოება, რაც აჩენს ეფექტიანი კონკურენციის არსებითი შეზღუდვის გონივრულ ეჭვს. მხარეს ასევე განემარტება მისი უფლება-მოვალეობების შესახებ, მათ შორის კანონის მე-11 მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული სტრუქტურული ან/და ქცევით ხასიათის ღონისძიების სახით ოპერაციის ცვლილების შეთავაზების უფლების შესახებ. ამასთან, მხარეს განესაზღვრება ვადა მოსაზრების და დამატებითი ინფორმაციის წარსადგენად.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ვადა არ შეიძლება იყოს 5 დღეზე ნაკლები. სააგენტო უფლებამოსილია, მხარეს დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, არაუმეტეს 15 სამუშაო დღით გააგრძელოს დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენის ვადა, რაც კანონის 11^1 მუხლის მე-6 და მე-9 პუნქტებით გათვალისწინებული ვადის შეჩერების საფუძველია.

4. კანონის მე-11 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, მხარის/მხარეების მიერ სააგენტოსათვის შესაძლოა შეთავაზებულ იქნეს ოპერაციის ცვლილება სტრუქტურული ან/და ქცევითი ხასიათის ღონისძიების სახით:

ა) სტრუქტურული ხასიათის ღონისძიება წარმოადგენს მხარის/მხარეების მიერ ნაკისრ ვალდებულებას, რომლის განხორციელების შედეგად, იცვლება ბაზრის სტრუქტურა და ამ ბაზარზე შესაბამისი ეკონომიკური აგენტის მდგომარეობა. სტრუქტურული ხასიათის ცვლილება შესაძლებელია განხორციელდეს საქმიანობის/ბიზნესის ან აქტივების/წილის გაყიდვის გზით, ასევე, სხვა იმგვარი საშუალებით, რომელიც გავლენას ახდენს ბაზრის სტრუქტურაზე;

ბ) ქცევითი ხასიათის ღონისძიება წარმოადგენს მხარის/მხარეების მიერ ნაკისრ ვალდებულებას, რომელიც გულისხმობს მის/მათ მიერ კონკრეტული ქმედების განხორციელებას ან კონკრეტული ქმედების განხორციელებისგან თავის შეკავებას, ბაზარზე ეფექტიანი კონკურენციის შენარჩუნების მიზნით.

5. სააგენტო მხარის/მხარეების მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული და ქცევითი ხასიათის ღონისძიებების განხილვისას სხვა საკითხებთან ერთად აანალიზებს, თუ რამდენად არის შეთავაზებული ღონისძიებები პროპორციული და საკმარისი იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული კონცენტრაციის განხორციელების შედეგად საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე ეფექტიანი კონკურენციის შეზღუდვა. გარდა ამისა, სააგენტო აანალიზებს, თუ რამდენად განხორციელებადია შემოთავაზებული ღონისძიებები.

6. სააგენტო უფლებამოსილია, სტრუქტურული ან/და ქცევითი ხასიათის ღონისძიებებთან დაკავშირებით, მხარის/მხარეების მოთხოვნის შემთხვევაში ან საკუთარი ინიციატივით, საკონსულტაციო შეხვედრაზე მოიწვიოს კონცენტრაციის მხარეები.

7. სააგენტო უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, კონცენტრაციის მხარეებს მისცეს დამატებითი ვადა შემოთავაზებული სტრუქტურული ან/და ქცევითი ხასიათის ღონისძიების დასაკორექტირებლად.

8. თუ სააგენტო მიიჩნევს, რომ მოდიფიკაციის შედეგად, კონცენტრაცია არსებითად არ შეზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე, იღებს გადაწყვეტილებას კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ.

9. თუ სააგენტო მიიჩნევს, რომ მხარის/მხარეების მიერ შემოთავაზებული სტრუქტურული ან/და ქცევითი ხასიათის ღონისძიებების მიუხედავად, დაგეგმილი კონცენტრაცია არსებითად შეზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე, იღებს გადაწყვეტილებას დაგეგმილი კონცენტრაციის დაუშვებლობის შესახებ. სააგენტოს გადაწყვეტილებაში, სხვა გარემოებებთან ერთად, ასევე მიეთითება მიზეზები, თუ რატომ მიიჩნია სააგენტომ შემოთავაზებული სტრუქტურული ან/და ქცევითი ხასიათის ღონისძიებები მიუღებლად.

10. ამ მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მხარის/მხარეების მიერ განსახორციელებელი კონკრეტული ღონისძიებ(ებ)ის თაობაზე, შესაბამისი ვად(ებ)ის მითითებით.

11. სააგენტო უფლებამოსილია, კონცენტრაციის მხარის/მხარეების დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, მხოლოდ ერთხელ, გონივრული ვადით, გააგრძელოს შესაბამისი ღონისძიების განსახორციელებლად დაწესებული ვადა.

12. თუ კონცენტრაცია უკვე განხორციელდა და კონცენტრაციის მხარის/მხარეების მიერ განსაზღვრულ ვადაში არ არის შესრულებული სააგენტოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ღონისძიებები, სააგენტო კონცენტრაციის მხარეს/მხარეებს აკისრებს/აკისრებთ ჯარიმას კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად. ამ შემთხვევას უთანაბრდება სიტუაცია, როდესაც ღონისძიებები ნაწილობრივ არის განხორციელებული ან სააგენტო ჩათვლის, რომ მხარის/მხარეების მიერ განხორციელებული ღონისძიებები არ არის სრულ თანხვედრაში მის გადაწყვეტილებასთან.

13. ჯარიმის ოდენობა თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე არ უნდა აღემატებოდეს სააგენტოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების წინა ფინანსური წლის განმავლობაში ეკონომიკური აგენტის საშუალო დღიური ბრუნვის 5%-ს.

14. ამ მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრული ჯარიმის ოდენობა მისი ფიზიკური პირისთვის ან სხვა პირისთვის დაკისრების შემთხვევაში, რომელიც ამ კანონის მიზნებისთვის არ არის მიჩნეული ეკონომიკურ აგენტად, თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე არ უნდა აღემატებოდეს 500 ლარს.

15. ამ მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის მიზნებისათვის, წინა ფინანსურ წლად ითვლება სააგენტოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების წინა ფინანსური წელი. ხოლო, თუ ეკონომიკური აგენტი, კანონმდებლობით დადგენილი წესით, რეგისტრირებულია სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღების წელს, შესაბამის ფინანსურ წლად ითვლება გადაწყვეტილების მიღების წელი.

16. ამ მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, სააგენტო, ჯარიმის დაკისრების პარალელურად, მიმართავს სასამართლოს შუამდგომლობით და მოითხოვს კონცენტრაციის გაუქმებას, თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით. აღნიშნულის მისაღწევად, პირს შეიძლება დაეკისროს სხვადასხვა სახის ვალდებულება, მათ შორის, საწარმოს, წილის, აქტივების, ფასიანი ქაღალდების ან მათი ნაწილის გასხვისების, რეორგანიზაციის, კონკრეტული ხელშეკრულებების შეწყვეტის შესახებ. ასევე, პირს განესაზღვრება ვადა დაკისრებული ვალდებულებების შესრულებისათვის.

17. სააგენტო უფლებამოსილია, კონცეტრაციის მხარეებს მოსთხოვოს ინფორმაციის მიწოდება განხორციელებული სტრუქტურული ან/და ქცევითი ხასიათის ღონისძიებების თაობაზე, გარკვეული პერიოდულობით.

18. ამ მუხლის მე-17 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში მიუწოდებლობა, არასრული ან არასწორი სახით მიწოდება გამოიწვევს შესაბამისი პირის დაჯარიმებას კანონის 32-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 15. კანონის მოთხოვნათა გვერდის ავლით კონცენტრაციის განხორციელების დაუშვებლობა და მისი შედეგები

1. თუ კონცენტრაცია ექცევა კანონის რეგულირების სფეროში, კონცენტრაციის მხარეებს ეკრძალებათ მისი განხორციელება სააგენტოსათვის შეტყობინების გარეშე, სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე ან/და სააგენტოს მიერ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში. სააგენტოს უარყოფითი გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული.

2. იმ პირების კონცენტრაციის რეგისტრაციისათვის, რომელთაც ეკისრებათ სააგენტოსათვის შეტყობინების ვალდებულება, აუცილებელია სააგენტოს დასკვნა მოსალოდნელი კონცენტრაციის კონკურენტული ეფექტის თაობაზე. სააგენტოს მიერ უარყოფითი დასკვნის გაცემა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ეკონომიკურ აგენტთა კონცენტრაციის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველია.

3. სააგენტო უფლებამოსილია, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებული ან/და ნებისმიერი წყაროდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, საკუთარი ინიციატივით განიხილოს განხორციელებული კონცენტრაციის საკითხი, განსაზღვროს, ექვემდებარებოდა თუ არა კონცენტრაცია სააგენტოსათვის შეტყობინებას და გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები. სააგენტო საკითხს განიხილავს ერთი თვის ვადაში. საჭიროების შემთხვევაში, დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე სააგენტო უფლებამოსილია გააგრძელოს განხილვის ვადა დამატებით ორი თვის ვადით.

4. სააგენტოსათვის კონცენტრაციის შეტყობინების წარუდგენლობის, სააგენტოს უარყოფითი გადაწყვეტილების მიუხედავად კონცენტრაციის განხორციელების ან/და შეტყობინების განხილვის ვადის ამოწურვამდე ან სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე კონცენტრაციის განხორციელების შემთხვევაში შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების მქონე ეკონომიკურ აგენტს დაეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღების წინა ფინანსური წლის განმავლობაში მისი ერთობლივი შემოსავლის 5%-ს, ხოლო ფიზიკურ პირს დაეკისრება ჯარიმა 10 000 ლარის ოდენობით.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის მიზნებისათვის, წინა ფინანსურ წლად ითვლება სააგენტოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების წინა ფინანსური წელი. ხოლო, თუ ეკონომიკური აგენტი, კანონმდებლობით დადგენილი წესით, რეგისტრირებულია სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღების წელს, შესაბამის ფინანსურ წლად ითვლება გადაწყვეტილების მიღების წელი.

6. შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის შეუტყობინებლობისთვის ჯარიმის დაკისრება პირს არ ათავისუფლებს სააგენტოსათვის კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენის ვალდებულებისგან. ჯარიმის დაკისრების პარალელურად, შეტყობინების წარმოდგენის ვადას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრავს სააგენტო და იგი არ შეიძლება იყოს 14 კალენდარულ დღეზე ნაკლები.

7. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმის დაკისრების პარალელურად, სააგენტო შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს და ითხოვოს კონცენტრაციის გაუქმებას, თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით, თუ:

ა) არსებობს სააგენტოს გადაწყვეტილება დაგეგმილი კონცენტრაციის დაუშვებლობის თაობაზე;

ბ) სააგენტომ განიხილა კანონმდებლობის გვერდის ავლით განხორციელებული კონცენტრაცია და იგი დაუშვებლად მიიჩნია.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ შუამდგომლობას სასამართლო განიხილავს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად.

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 25 დეკემბრის ბრძანება №63 - ვებგვერდი, 21.12.2023 წ.

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2026 წლის 15 ივნისის ბრძანება №8 - ვებგვერდი, 16.06.2026 წ.

მუხლი 16. სააგენტოს გადაწყვეტილებების გამოქვეყნება

1. სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის/ კონცენტრაციის დაუშვებლად ცნობის შესახებ ექვემდებარება სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე შესაბამისი კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვით გამოქვეყნებას, მისი მიღებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში.

2. სააგენტოს მიერ ამ მუხლის პირველ პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების გამოქვეყნების დროს დაცული უნდა იყოს კონფიდენციალურობა, რომელიც სხვა საიდუმლოებასთან ერთად შეიძლება მოიცავდეს სახელმწიფო, კომერციულ, საბანკო, პროფესიულ და საგადასახადო საიდუმლოება, აგრეთვე პერსონალურ მონაცემებს.

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 25 დეკემბრის ბრძანება №63 - ვებგვერდი, 21.12.2023 წ.

დანართი №1

შეტყობინება კონცენტრაციის თაობაზე

1. ზოგადი მონაცემები
მონაწილე სუბიექტები
ა) ეკონომიკური აგენტის სახელწოდება/პირის სახელი, გვარი; ბ) საიდენტიფიკაციო ნომერი/პირადი ნომერი; გ) იურიდიული მისამართი; დ) საქმიანობის სფერო; ე) საკონტაქტო პირი და მისი საკონტაქტო მონაცემები (ელ.ფოსტა, ტელეფონი).
1.
2.
3.
4.
5.

2. ზოგადი ინფორმაცია კონცენტრაციის შესახებ
კონცენტრაციის ფორმა
კონცენტრაციის მიზანი

3. მონაწილე სუბიექტთა მახასიათებლები

ა) კონცენტრაციის მონაწილე მხარეების წილის მფლობელები;

ბ) მონაწილე მხარეების ურთიერთდამოკიდებული ეკონომიკური აგენტები;

გ) „ა“ და „ბ“ პუნქტებში აღნიშნული მონაცემების ამსახველი სქემა/დიაგრამა დანართის სახით (იუთითეთ დანართის ნომერი);

დ) მიუთითეთ თქვენ მიერ აღნიშნული ეკონომიკური აგენტებიდან რომლები საქმიანობენ გაცხადებული კონცენტრაციის შესაბამის ბაზარზე;

ე) მიუთითეთ დანართის სახით, ბოლო 3 წლის განმავლობაში თქვენ მიერ შეძენილი წილები „დ“ პუნქტში მითითებულ ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტებისაგან;

ვ) მიუთითეთ შეტყობინების ვალდებულების წარმოშობის წინა ფინანსური წლის განმავლობაში კონცენტრაციის თითოეული მხარის ერთობლივი შემოსავლის მოცულობა:

„ვ.1“ ქვეყნის შიდა ბაზარზე

„ვ.2.“ საერთაშორისო ბაზარზე (შიდა ბაზრის ჩათვლით)

შენიშვნა:

თუ პირის სამეწარმეო საქმიანობა მიმდინარე წელს დაწყებულია, მაშინ მიეთითება მიმდინარე კალენდარული წლის განმავლობაში კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენის მომენტისათვის არსებული წლიური ერთობლივი შემოსავალი.

1.
2
3
4
5

4. კონცენტრაციის დეტალური აღწერა

მიუთითეთ:

- დაგეგმილი კონცენტრაციის შესაბამისი ბაზარი (შესაბამისი ბაზრის პროდუქციული, გეოგრაფიული და დროითი ჩარჩო);
- მეთოდი, რომლითაც იხელმძღვანელეთ შესაბამისი ბაზრის განსაზღვრისას;
- რა მიზნით ხორციელდება აღნიშნული კონცენტრაცია და რას გეგმავს კონცენტრაციის შემდეგ

შესაბამისი სუბიექტი (მისი უახლოესი 24 თვის ეკონომიკური და ბიზნესგეგმები);

- რა შედეგებს მოიტანს კონცენტრაცია ბაზარზე;
- კონცენტრაციის დადებითი და უარყოფითი ზეგავლენების შესახებ ინფორმაცია
- გაქვთ თუ არა რაიმე სახის იურიდიული და ეკონომიკური კვლევა, რომელიც შეიძლება იძლეოდეს კვალიფიციურ პასუხს ზემოაღნიშნულ შეკითხვებზე (კვლევის შემთხვევაში დაურთეთ იგი შეტყობინებას დანართის სახით);
- მინიმუმ სამი საკითხი, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს საკითხის დადებითად ან უარყოფითად გადაწყვეტაზე და რაზეც უნდა იქნეს თქვენი აზრით სააგენტოს მიერ ყურადღება გამახვილებული.

5. დამატებითი შენიშვნები

(მიუთითეთ ზემოთ აღნიშნული მონაცემების გარდა, თქვენს ხელთ არსებული სხვა ინფორმაცია ან შენიშვნა, რომელიც, თქვენი აზრით, შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს გადაწყვეტილების მიღებისას)

ვადასტურებთ, რომ შეტყობინებაში წარმოდგენილი ყველა ინფორმაცია შეესაბამება სიმართლეს და ჩვენთვის ცნობილია არასწორი ინფორმაციის მოწოდებით გამოწვეული საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგების შესახებ.

კონცენტრაციის მონაწილე პირების წარმომადგენლების ხელმოწერა:

1. ----------

2. ----------

3. ----------

4. ----------

5. ----------

შეტყობინების შემომტანი პირის ხელმოწერა:

თარიღი:

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 20 სექტემბრის ბრძანება №3 - ვებგვერდი, 23.09.2024 წ.